

# საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების გაძლიერება

სოფლის მეურნეობა საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ყოველთვის. მიუხედავად ამისა, უკანასკნელ პერიოდამდე სოფლის მეურნეობის დარგი უყურადღებოდ იყო დატოვებული, რამაც ქრონიკული პრობლემები კიდევ უფრო გააღრმავა: დარგი ძალიან არაპროდუქტიული გახდა და რესურსები არასრულად გამოიყენებოდა. სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშესაწყობად და სოფლად სიღარიბის შესამცირებლად მთავრობამ 2012 წლიდან ნაბიჯების გადადგმა დაიწყო და ამ მიზნით საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიას ახორციელებს. სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის გაზრდის ერთ-ერთი წინაპირობაა პოლიტიკის შემუშავების პროცესის გაუმჯობესება და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მისი სააგენტოების შესაძლებლობების გაძლიერება.



## რა შედეგი მოიტანა პროექტმა?

შესამჩნევი მიღწევებია რეფორმების დახვეწისთვის საჭირო ინსტიტუციური ჩარჩოს შექმნაში და სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლების ცოდნისა და უნარების გაძლიერებაში, მათი ისეთი ინსტრუმენტებით აღჭურვაში, რაც აუცილებელია სამუშაოს შესასრულებლად. FAO-მ სოფლის მეურნეობის სამინისტროს რამდენიმე მიმართულებით გაუწია მხადაჭერა; საქართველოში სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების გაძლიერებაში და ექსტენციური მომსახურების რეფორმაში, ასევე, სოფლის მეურნეობაში წარმოებისა და მარკეტინგის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, პოლიტიკის გაუმჯობესებაში. გარდა ამისა, FAO დაეხმარა ღვინის ეროვნულ სააგენტოს ინდუსტრიაზე ორიენტირებულ ორგანიზაციად გარდაქმნაში, რათა სააგენტოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე პოზიციები გაეძლიერებინა. პროექტის ხელშეწყობით, დაინერგა ბაზრის საინფორმაციო სისტემა, რომლის მეშვეობითაც სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ინფორმაცია ჯეროვანი მეთოდოლოგიით, რეგულარულად შეგროვდება და გამოყენებული იქნება ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად; სისტემა საქართველოს ყველა რაიონში უკვე წარმატებით მუშაობს. ასევე, პროექტის მხარდაჭერით, განახლდა სოფლის მეურნეობის აღწერის მონაცემები, რითაც პოლიტიკის შემქმნელებს და სტეიკჰოლდერებს გაცილებით ხარისხიან და მრავალმხრივ ინფორმაციაზე გაუჩნდათ წვდომა.

## ზეგავლენა

პროექტმა საქართველოს სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის და ეფექტიანობის გაზრდას შეუწყო ხელი, შესაძლებელი გახდა წარმოების გაზრდა და სიღარიბის შემცირება. გარდა ამისა, თხილის სექტორში შეთავაზება და საინვესტიციო გეგმა მომზადდა. ამის მეშვეობით მცირე ზომის ფერმერები შეძლებენ, დანაკარგის შემცირების შედეგად, მეტი შემოსავალი მიიღონ, პროდუქციის ხარისხი გაზარდონ და გააუმჯობესონ მარკეტინგი თუ წარმოება.

## საკვანძო ფაქტები

**კონტრიბუცია**  
2 300 000 ევრო

**ხანგრძლივობა**  
მაისი 2013 – თებერვალი 2017

**რესურს-პარტნიორები**  
ევროკავშირი

**პარტნიორები**  
სოფლის მეურნეობის სამინისტრო

**ბენეფიციარები**  
სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის კოოპერატივების განვითარების სააგენტო, დაკავშირებული სამინისტროები/სამთავრობო უწყებები, სოფლის მეურნეობის რეგიონული განყოფილებები, ადგილობრივი თვითმმართველობები, სასოფლო სამეურნეო სერვისის მომწოდებლები, ფერმერები, ფერმერთა ასოციაციები, სოფლად მცხოვრები ოჯახები



# ღონისძიებები

- შემუშავდა და დამტკიცდა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია, 2015-2020 და სამოქმედო გეგმა.
- საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე თვალყურის მისადავენებლად შეიქმნა შედეგზე ორიენტირებული მონიტორინგის სისტემა.
- მხარი დაეჭირა სოფლის მეურნეობის კოოპერატივების განვითარების სააგენტოს შექმნას, ასევე, ჩატარდა ტრენინგები და კონსულტაციები.
- სოფლის მეურნეობის კოოპერატივების უნივერსალური მხარდამჭერი პროგრამების ეფექტურად გამოსაყენებლად შემუშავდა რეკომენდაციები, სადაც გათვალისწინებული იყო კოოპერატივების ზომა, კომპეტენციები და სექტორული კონცენტრაცია.
- შემუშავდა სოფლის მეურნეობის კოოპერატივების განვითარების სტრატეგია.
- სოფლის მეურნეობაში არსებითი სტრუქტურული ცვლილებები განხორციელდა, შეიქმნა პოლიტიკის სამსახური და პოლიტიკის ჯგუფი. პოლიტიკის ჯგუფის შექმნაში მხარდაჭერა გამოიხატა სხვადასხვა თემაზე სატრენინგო კურსების, ვორკშოპების, სასწავლო ტურების ორგანიზებით.
- დახმარება გაეწია ევროკავშირის სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამის - საქართველოში სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების პროგრამის - განხორციელებას.
- შეფასდა აკვაკულტურის საკანონმდებლო ბაზა; გაიცა რეკომენდაციები, რა ცვლილებები უნდა შევიდეს კანონმდებლობაში, რომ გაუმჯობესდეს სექტორის მარეგულირებელი აკვაკულტურის კანონი.
- ხელი შეეწყო პოლიტიკაზე დიალოგს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციას შორის, რათა სამუშაოს ზოგიერთი კრიტიკული ასპექტი ევროპული მოდელის შესაბამისად დარეგულირებულიყო.



არავითარი სიღარიბე




არავითარი შიმშილი



ჯანმრთელობა და კეთილდღეობა



გენდერული თანასწორობა



ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა



შემცირებული უთანასწორობა



სიცოცხლე წყალქვეშ



სიცოცხლე ხმელეთზე



პარტნიორობები მიზნებისთვის



## პროექტის კოდი

დონორი: ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტი /2013/317-764  
 FAO: GCP/GE0/001/EC

## პროექტის სათაური

სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ტექნიკური დახმარება - სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერება

## საკონტაქტო პირები

FAO-ის ოფისი საქართველოში  
[FAO-GE@fao.org](mailto:FAO-GE@fao.org)

დმიტრი ზვიაგინცევი (წამყვანი ტექნიკური ოფიცერი)  
[Dmitry.Zvyagintsev@fao.org](mailto:Dmitry.Zvyagintsev@fao.org)

რესურსების მობილიზაციის განყოფილება  
 მარკეტინგის, პოპულარიზაციის და ანგარიშგების გუნდი  
[Reporting@fao.org](mailto:Reporting@fao.org)